



მიტროპოლიტი ილარიონი: ადამიანის ცხოვრებაში ბევრი რამ რწმენაზე არის დამოკიდებული



2021 წლის 29 აგვისტოს, სულთმოფენობიდან მე-10 კვირიაკეს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების შემდგომ დღესასწაულზე, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა საღვთო ლიტურგია აღასრულა მოსკოვის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ ხატის სახელობის ტაძარში, ბოლშაია ორდინკაზე.

მწყემსთათვარს თანამსახურება გაუწიეს ტაძრის კლირიკოსებმა.

საგანგებო კვერქსზე აღვლენილ იქნა ლოცვითი ვედრება კორონოვირუსის ინფექციისგან დასახსნელად.

საგანგებო კვერქსის შემდეგ მიტროპოლიტმა ილარიონმა აღავლინა ლოცვა, რომელიც მავნებელი

ჰაერის გავრცელების დროს იკითხება.

საღვთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ მიტროპოლიტმა დამსწრე მრევლს ქადაგების სიტყვით მიმართა:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

დღევანდელი სახარების საკითხავში ჩვენ გვესმოდა იმის შესახებ, თუ როგორ განდევნა ეშმაკეული ყრმიდან ეშმაკი უფალმა იესო ქრისტემ. როდესაც მოწაფეებმა ჰკითხეს: „**რადსათვის ჩუენ ვერ შეუძლეთ განჯდად მისა?**“ (მთ. 17:19), ძე ღვთისამ უპასუხა: „**ურწმუნოებისა თქუენისათვის. ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგვსაჲ, ჰრქუათ მათსა ამას: „მიიცვალე ამიერ იქი“, და მიიცვალოს, და არარაჲ შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ**“ (მთ. 17:20).

ეს სიტყვები შირად ისმის ჩვენს გულებში, და ჩვენ საკუთარ თავს ვეკითხებით: როგორ არის შესაძლებელი ადამიანს ჰქონდეს ისეთი რწმენა, რომ მან მთები გადაადგილოს? და რატომაა, როცა ვლოცულობთ და რაიმეს ვითხოვთ, ვერ ვიღებთ შეთხოვნილს? იმიტომ ხომ არა, რომ სუსტი რწმენა გვაქვს? ან იმიტომ ხომ არა, რომ ღმერთს არ ნებავს, შეთხოვნილი მოგვცეს? ან სხვა რამ მიზეზით?

თუკი ადამიანს ძლიერი რწმენა აქვს, მაშინ მთავარი ლოცვა, რომელსაც ის წარმოთქვამს – ეს არის ლოცვა, რომელიც უფალმა ჩვენ იესო ქრისტემ გვასწავლა: იყავნ ნება შენი. თავად ქრისტემ სწორედ ასეთი ლოცვის სახე მოგვცა, როდესაც თავისი ჯვარზე ვნების წინ, იცოდა რა, რომ ამ ღამეს ის სასიკვდილოდ იქნებოდა მიცემული, გეთსამანიის ბაღში თავისი მამის მიმართ ლოცულობდა: „**მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმჯედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ**“ (მთ. 26:39). ეს იყო ადამიანის სიტყვები, რომელსაც ეშინოდა სიკვდილის, როგორც ეშინია მისი ყველა მინიერ ადამიანს, მაგრამ იმავდროულად ამ ლოცვაში ძე ღვთისამ საკუთარი თავი მამა ღმერთს არწმუნა: „**ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ**“ (ლკ. 22:42). ეს იყო ადამიანის ლოცვა, რომელმაც მთელი თავისი ნება სრულიად შუერთა ზეციერი მამის ნებას. ეს იყო ღმერთკაცის ლოცვა, რომელიც მოვიდა ადამიანების სახსნელად ყოველგვარი ცოდვისგან. და ეს ლოცვა გვასწავლის იმას, თუ როგორ უნდა ვილოცოთ, და როგორი რწმენისთვის ვართ მოწოდებულნი.

უფალი მოგვინოდებს ვილოცოთ ყველაფრისთვის, რაც უნდა მოგვინდეს. ის ბრძანებს: „**უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათვისვე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაჲსა. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა**“ (მთ. 18:19-20).

ჩვენ ვლოცულობთ საღვთო ლიტურგიასა და სხვა ღვთისმსახურებებზე, და ვიცით, რომ ეს ლოცვა ღმერთამდე აღწევს. მაშინაც კი, თუკი ყოველთვის ჩვენი კონკრეტული სათხოვარი უფლის მიერ არ

სრულდება – ან იმიტომ, რომ უფალს არ ნებავს, ანაც იმიტომ, რომ სუსტი რწმენა გვაქვს.

მაგრამ უფალი გვახსენებს დღევანდელი შემთხვევით, რომლის შესახებაც სახარების საკითხავში მოვისმინეთ, რომ ადამიანის ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ რწმენაზეა დამოკიდებული. მარცვლის ოდენა რწმენასაც კი, ანუ რწმენას, რომელიც თითქოსდა, მცირეა და არამყარი, შეუძლია მოახდინოს სასწაულები, თუკი ადამიანი სასოებს არა საკუთარ ძალებს, არამედ – ღმერთს.

კიდევ, სახარების დღევანდელი საკითხავი შეგვახსენებს, რომ ეშმაკები შეიძლება ჩვენთან ძალიან ახლოს იმყოფებოდნენ და მზად იყვნენ ჩვენში ჩასასახლებლად, თუ მათ კარს გავუღებთ. და საიმედო დაცვა ამ ეშმაკისეული მცდელობებისგან, არის რწმენა, ასევე ლოცვა და მარხვა, რაც ამცნო კიდევ უფალმა თავის მონაფეებს: „**ხოლო ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა**“ (მთ. 17:21).

ჩვენ ეს-ესაა დავასრულეთ მიძინების მარხვა, მაგრამ არ ვწყვეტთ მარხვის დღეების დაცვას, რომლებიც ეკლესიის მიერ არის დადგენილი. ხოლო ლოცვას უფალი მუდმივად მოგვინოდებს. მოციქული პავლეც შეგვახსენებს, რომ მოუკლებლად უნდა ვლოცულობდეთ.

სამი იარაღი, რომელსაც ვფლობთ, – რწმენა, ლოცვა და მარხვა, – ამარცხებს ჩვენს ირგვლივ მყოფ ეშმაკებს, რომლებიც ძალიან ბევრი არიან. ისინი, შეიძლება, ისე არ ჩანან, როგორც ეს ადრეულ ხანებში იყო, როდესაც ეშმაკები ადამიანებში სახლდებოდნენ, როცა ეშმაკეულები ქალაქებში დადიოდნენ, სხვადასხვა ხმით ყვიროდნენ. ახლა ეშმაკებმა სხვაგვარად მოქმედება ისწავლეს. ისინი ადამიანებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოქმედებენ, ინტერნეტის მეშვეობით, სულის გამრყენელი სხვადასხვაგვარი პროპაგანდის გზით, იმიტომ, რომ ცოდვის დაკანონება – მისი ნორმად ქცევა ხდება, და ბევრი სხვა რამით.

ეს ეშმაკისეული მცდელობები განსაკუთრებით საშიშია ახალგაზრდებისთვის, ჯერ კიდევ რწმენაში განუმტკიცებელი ადამიანებისთვის. აი, რატომაც ყოველთვის განსაკუთრებული ლოცვა გვმართებს ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. აი, რატომაც ეკლესიამ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ ბავშვები და ახალგაზრდები ღმერთს არ დაშორდნენ, არ მოექცნენ ეშმაკის გავლენის ქვეშ და შეინარჩუნონ მტკიცე რწმენა, რომელიც მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში, ღრმა სიბერემდე გამოადგებათ.

დღევანდელ დღეს, რომელიც წინ უძღვის სასწავლო წლის დაწყებას, ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს იმისთვის, რომ უფალმა სწავლაში განამტკიცოს ჩვენი ბავშვები და ჩვენი ახალგაზრდობა. მაგრამ ყველაზე მთავარი, რასაც ჩვენ მათთვის უფლისგან გამოვითხოვთ – ეს არის, რომ მან ისინი რწმენაში განამტკიცოს, რამეთუ რწმენა ის სიმტკიცეა, რომელიც თითოეულ ბავშვს და თითოეულ ახალგაზრდა ადამიანს დაეხმარება, განვლოს ეს ცხოვრება შეუბილწავად და არ მოხვდეს დემონების ზეგავლენის ქვეშ. ხოლო თუ ისე მოხდა, რომ მაინც მოექცა ამ გავლენის ქვეშ, მაშინ რწმენა მას ყოველთვის დააბრუნებს ღმერთთან და ეკლესიაში. ამინ“.

შემდეგ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა ყრმათათვის სწავლის დაწყების წინ საკითხავი პარაკლისი აღასრულა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/87928/>